ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

2503232
12/14238756-16
10.09.2014

მაია დგებუაძე (01006004045),
თბილისი ბ.ხმელნიცკის II შეს. N 6

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #12/14238756-16 წერილის პასუხად გაცნობებთ: სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, სარაჯიშვილის გამზ. #39-ში მდებარე ობიექტის (სავაჭრო-საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი (საზოგადოებრივ-საქმიანი)) საკადასტრო წითელი ხაზების ხელმეორედ გადამოწმებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ 21.07.2014წ. #ბ-12/14181625-16 ბრძანებაში მითითებული დარღვევა ,,შენობის გარეთ 3-4 მონაკვეთში მოწყობილი ღიობი უკავშირდება მიწის ქვედა სივრცეს, რომლის ნაწილიც განთავსებულია წითელი ხაზის გარეთ“ დღეის მდგომარეობით გამოსწორებულია.

პატივისცემით,
თბილისის მუნიციპალიტეტის მერია / ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

ვასილი მუჯირიშვილი

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ზ-12/14181625-16 21 07 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, სარაჯიშვილის გამზ. №39-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (სავაჭრო-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტი (საზოგადოებრივ-საქმიანი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება: – №327604 27.08.2012წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, სარაჯიშვილის გამზ. №39-ში (საკ.კოდი №01.11.05.019.004) მდებარე შენობა-ნაგებობის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე ზოგიერთ ადგილას დამატებულია კედლის დეტალები და ლესვის ხაზები. შეცვლილია ზოგიერთი კარ-ფანჯრის ფერი, ასევ ზოგიერთი გადაადგილებულია.

ფასადი გ-ა ღერძებში: შეცვლილია მიწის დონე. დამატებულია ორი საკომუნიკაციო მილი. სახურავის ძირი მოსაპირკეთებელია. +0.00 ნიშნულზე ა-ა ღერძთან და სახურავის ქვეშ გ-გ ღერძთან დამატებულია ლითონის დეტალები.

ფასადი ა-გ ღერძებში: ა-ა ღერძის გარეთ +0.00 ნიშნულის ქვეშ მოწყობილია ბლოკის კედელი და შესალესია. შეცვლილია გამწოვი მილი და დამატებულია ლითონის კონსტრუქციები. გ-გ ღერძთან დამატებულია წყლის მილი.

სახურავის ძირი შესავსებია. 4-4 ღერძთან დამატებულია მილი. 6-4 მონაკვეთში სახურავის ქვეშ სივრცე შევსებულია მსუბუქად და მოწყობილია მილი.

შენობის შიგნით -4.20 ნიშნულზე ზოგიერთ კოლონას მონაცვლებული აქვს ადგილი, ხოლო შეცვლილია ზოგიერთის ფორმა. 3-4 მონაკვეთში შემცირებულია კიბის საფეხურები. კედლების ქვეშ დამატებულია დაბალი კედლები და კონსტრუქციული დეტალები, ასვე გადახურვის ქვეშ დამატებულია ლითონის კონსტრუქციული დეტალები. კედლებს შორის ზომები არ ემთხვევა საპროექტოს და შეცვლილია ზოგიერთის დახრა.

9-9 ღერძის გარეთ არ არის მოწყობილი პანდუსი.

შენობის გარეთ 3-4 მონაკვეთში მოწყობილი ღიობი უკავშირდება მიწის ქვდა სივრცეს, რომლის ნაწილიც განთავსებულია წითელი ხაზის გარეთ, აღნიშნული ღიობი შევსებულია მსუბუქად.

შეცვლილია გადახურვის ნახატი.

გ-გ ღერძთან 4-6 მონაკვეთში არსებული შენობა შემოჭრილია საპროექტო შენობის ნაწილში, პროექტში გათვალისწინებულზე მეტად.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ჰ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს. „ვერძი-97"-ს ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, სარაჯიშვილის გამზ. №39-ში (საკ. კოდი №01.11.05.019.004) მდებარე შენობა-ნაგებობის (სავაჭრო-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტი (საზოგადოებრივ-საქმიანი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/14181625-16 30.06.2014წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე **ვ. მუჯირიშვილი**